

მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგების
რისკის შეფასების მიზნით გამოყენების
შესაძლებლობები და განუსაზღვრელობები

ქიმიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი - *დარეჯან დულაშვილი*

საექსპერტო მოსაზრება



SRCA

სოფლის მეურნეობის
საეცნიერო კვლევითი ცენტრი

31.12.2018

მიზანი.

მონიტორინგის მონაცემებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ადაპტირება რისკის შეფასების მიზნების უზრუნველსაყოფად.

არსებული შესაძლებლობებისა და ხელისშემშლელი მიზეზების gap-ანალიზი სურსათით განპირობებული რისკების რანჟირებისათვის კონცეპტუალური მიდგომების სწორი ფორმირებისა და რისკის შემფასებელი სტრუქტურების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

საკანონმდებლო ჩარჩო.

სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის რეგულაციებთან დაიწყო „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის (27.12.2005) ძალაში შესვლით. აღნიშნული კანონი ძირითადად ეფუძნებოდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციას (EC) No 178/2002, ასევე რეგულაციას (EC) No 882/2004.

აღნიშნულმა კანონმა საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში შემოიტანა სრულიად ახალი ტერმინები, მიდგომები (როგორცაა, რისკზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემა) და პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რისკის ანალიზი. თავის მხრივ რისკის ანალიზი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან - რისკის შეფასება, რისკის მართვა და რისკის კომუნიკაცია:

„მუხლი 5. რისკის შეფასება

1. ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად ამ კანონით გათვალისწინებული ზომები უნდა ეფუძნებოდეს რისკის შეფასებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შექმნილი განსაკუთრებული გარემოებები არ იძლევა ამის შესაძლებლობას.
2. რისკის შეფასება ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს და ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.

მუხლი 7. რისკის მართვა

რისკის მართვამ რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი და მაკორექტირებელი ზომების გატარება სურსათის მოხმარების შედეგად წარმოქმნილი რისკების შემცირების, აღმოფხვრის, ან პრევენციის მიზნით. აღნიშნული ზომები უნდა იყოს ეფექტიანი, ობიექტური და ადეკვატური.“

ტერმინი „მონიტორინგი“ აღნიშნული კანონით განსაზღვრული იყო როგორც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის (ამჟამად, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, შემდგომ – სააგენტო) ფუნქცია და უფლებამოსილება, მაგრამ არ იყო განმარტებული თუ რას წარმოადგენდა და რას მოიცავდა.

მოგვიანებით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილებაში №173 „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ გაჩნდა პირველი განმარტება მონიტორინგის შესახებ:

„მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

გ) მონიტორინგი – ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დგინდება სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრის არსებული მდგომარეობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;“

ამავე მუხლში განმარტებული იყო ტერმინი „ზედამხედველობაც“:

„დ) ზედამხედველობა – სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ბიზნესოპერატორებზე დაკვირვება;“

მალევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილებით №283 ცვლილება შევიდა №173 დადგენილების შესაბამის პუნქტში, რითიც დაკონკრეტდა მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენების მიზნები (რისკის შეფასებისთვის):

„გ) მონიტორინგი – ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დგინდება სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრის არსებული მდგომარეობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან; მონიტორინგი ტარდება საცალო ვაჭრობის პუნქტიდან ნიმუშების აღების, მათი ორგანოლექტიკური შეფასებისა და ლაბორატორიული შემოწმების გზით, რაც ხორციელდება ამ წესის III თავის შესაბამისად. მონიტორინგის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია გამოიყენება რისკის შეფასების მიზნით“

ამჟამად, ზემოთხსენებული საქართველოს ნორმატიული დოკუმენტები ძალადაკარგულია. მათ მაგივრად მოქმედებს საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (08.05.2012). აღნიშნულ კანონში ზემოთ მოყვანილი პრინციპები და ტერმინები ნაწილობრივ ან არსებითად სახეცვლილი სახით დღესაც ძალაშია:

„მუხლი 3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის ძირითადი პრინციპები.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის ძირითადი პრინციპებია:

ა) რისკის ანალიზი“

„მუხლი 4. რისკის ანალიზის პრინციპი

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები და ქმედებები რისკის ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

2. რისკის ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

- ა) რისკის შეფასება;
- ბ) რისკის კომუნიკაცია;
- გ) რისკის მართვა.“

„მუხლი 5. რისკის შეფასება

1. რისკის შეფასება მოიცავს ოთხ საფეხურს:

- ა) საფრთხის იდენტიფიცირებას;
- ბ) საფრთხის აღწერა-დახასიათებას;
- გ) საფრთხის ზეგავლენის შეფასებას;
- დ) რისკის დახასიათებას.

2. რისკის შეფასება ეფუძნება ხელმისაწვდომ, მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს.

3. რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.“

მიმდინარე კანონმდებლობით მონიტორინგი განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, ასევე განსაზღვრულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები:

„მუხლი 19. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სააგენტო ამ კოდექსის შესაბამისად, ხოლო საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომ – სამსახური) ამ კოდექსის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად.“

„მუხლი 26¹. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები :

2. მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- ა) წინა წლებში მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მოშხამვების, სურსათით/ცხოველის საკვებით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;

გ) გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

დ) მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

ე) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

3. მონიტორინგის ფარგლებში არსებული მდგომარეობა შეისწავლება ნიმუშის აღებისა და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარების გზით, რისკის შეფასების განხორციელებისათვის, რომლის დროსაც:

ა) მოწმდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მაჩვენებლების, ეტიკეტისა და წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ბ) ხორციელდება დოკუმენტური შემოწმება.“

ამავე მუხლში განსაზღვრულია ზედამხედველობა:

„4. ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება. დაკვირვება ხორციელდება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.“

საფრთხე და რისკი.

საფრთხე ეს არის - ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტები, რომლებსაც შეიძლება გააჩნდეთ არასასურველი ეფექტების გამოწვევის უნარი ან არასასურველი ეფექტების ტიპი და ბუნება, რომელსაც განაპირობებს აგენტის თანდაყოლილი ზემოქმედების უნარი ორგანიზმზე, სისტემაზე და (სუბ)პოპულაციაზე. მაგრამ, საფრთხე არ მოიცავს და ვერ განმარტავს - თუ რამდენი ადამიანი დაექვემდებარება გავლენას;

რისკი - ეპიდემიოლოგიასა და სტატისტიკაში: არის ალბათობა გარკვეული მოვლენებისა, რომელიც განიხილება როგორც არასასურველი; რისკების შეფასებაში: ალბათობა უარყოფითი ეფექტებისა ორგანიზმში, სისტემაში ან (სუბ)პოპულაციაში განპირობებული აგენტის ექსპოზიციის სპეციფიკური გარემოებებით (IPCS, 2009);

საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მიხედვით:

საფრთხე – სურსათში/ცხოველის საკვებში, ცხოველში, მცენარეში, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტებში ისეთი ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტის არსებობა ან სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების ისეთი მდგომარეობა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, მცენარის სიჯანსაღეს (მუხლი 2, პუნქტი 33);

რისკი – საფრთხიდან გამომდინარე, ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობაზე, მცენარის სიჯანსაღეზე მავნე ზემოქმედების გამოვლენის ალბათობა და სიმძიმე (მუხლი 2, პუნქტი 34).

რისკის შეფასების საფეხურები (Codex Alimentarius-ის მიხედვით).

(I) საფრთხის იდენტიფიკაცია - იდენტიფიკაცია ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტებისა, რომელთაც აქვთ უნარი გამოიწვიონ ურყოფითი ჯანმრთელობითი ეფექტები და რომლებიც შეიძლება არსებობდეს ცალკეულ სურსათში ან სურსათის ჯგუფში.

(II) საფრთხის დახასიათება - იმ ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ აგენტებთან დაკავშირებული უარყოფითი ჯანმრთელობითი ეფექტების ბუნების თვისობრივი ან/და რაოდენობრივი შეფასება, რომლებიც შეიძლება არსებობდეს სურსათში. ქიმიური აგენტებისთვის უნდა განხორციელდეს დოზა-პასუხის შეფასება. ბიოლოგიური ან ფიზიკური აგენტებისთვის უნდა განხორციელდეს დოზა-პასუხის შეფასება, თუ მონაცემები ხელმისაწვდომია. მიკრობიოლოგიური რისკის შეფასების მიზნებისთვის საფრთხის დახასიათება უკავშირდება მიკროორგანიზმებს და/ან მათ ტოქსინებს.

დოზა-პასუხის შეფასება - ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიკური აგენტის ექსპოზიციის მნიშვნელობასა (დოზა) და მათთან დაკავშირებული უარყოფითი ჯანმრთელობითი ეფექტების სიმძიმესა და/ან სიხშირეს (პასუხი) შორის კავშირის განსაზღვრა.

(III) ექსპოზიციის შეფასება - როგორც სურსათის გზით, ასევე, სხვა წყაროებიდან ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტების შესაძლო მიღების თვისობრივი და/ან რაოდენობრივი შეფასება.

(IV) რისკის დახასიათება - საფრთხის იდენტიფიკაციის, საფრთხის დახასიათებისა და ექსპოზიციის შეფასების საფუძველზე მოცემულ პოპულაციაში ცნობილი ან პოტენციური უარყოფითი ჯანმრთელობითი ეფექტების აღმოცენების ალბათობის და სიმძიმის თვისობრივი და/ან რაოდენობრივი შეფასება, თანმხლები განუსაზღვრელობების ჩათვლით.

ექსპოზიციის შეფასება.

ექსპოზიციის შეფასება ეყრდნობა ორი ძირითადი წყაროს მონაცემებს (მაგ. სურსათისთვის):

1. მოხმარების მონაცემები - მოხმარების სიხშირე და რაოდენობა, სურსათისთვის ე.წ. „ფაქტიური კვება“;

2. შემცველობის მონაცემები - სურსათში საფრთხის კონცენტრაციის/შემცველობის და გავრცელების დონე;

შემცველობის მონაცემების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მონიტორინგის პროგრამები. მონიტორინგის უპირატესობებია:

- შესაძლოა ყველა საჭირო მონაცემის მოპოვება შემცველობების თაობაზე, შენახვასა და გადამუშავების ფაქტორებზე და სხვა;
- საკმაო რაოდენობის მონაცემებია, რათა აღიწეროს სრული დისტრიბუცია და შეფასდეს არა მხოლოდ საშუალო მნიშვნელობები;
- რეპრეზენტატულია ბაზრისთვის/ქვეყნისთვის;
- შესაძლებელია, რომ შედეგები გამოყენებულ იქნას კანონით დადგენილი ნორმების დარღვევების გამოსავლენად (იმ პირობით, რომ აღრიცხული და გათვალისწინებული იქნება გამოცდის მეთოდების აღმოჩენის/რაოდენობრივი დათვლის ზღვარი (LOD/LOQ), განუსაზღვრელობა და სხვა სტატისტიკური მახასიათებლები);
- ტარდება ზედამხედველობასთან კომპლექსში;

როგორ უნდა შეირჩეს საანალიზო სურსათი რისკის / ექსპოზიციის შეფასებისთვის?

- იწყება იმ დაკვირვებით, რომელიც რეპრეზენტატულია რეფერენს-პოპულაციისთვის (მაგ. ბავშვები, მოზარდები);
- დაანგარიშდება სურსათის საშუალო მიღება გამოსახული გ/კგ სხეულის წონაზე დღეში თითოეული სურსათისთვის;
- გამოითვლება თითოეული სურსათის წილი საერთო მოხმარებაში;
- შეირჩევა ყველაზე ხშირად მოხმარებული სურსათი
- ემატება ის სურსათი, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების ინტერესს;
- ასევე, ემატება ის სურსათი რომელიც შესაძლოა იყოს უფრო მეტად მნიშვნელოვანი სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის (მაგ., ყავა, ალკოჰოლური სასმელები და სხვ.).

არსებული მდგომარეობა.

დღეისათვის, საქართველოში სურსათთან ასოცირებული რაოდენობრივი რისკების შეფასების ხელშემშლელ ფაქტორად უცხოელი¹ და ადგილობრივი ექსპერტებისა და

¹ - 2016 წელს ბულგარელი სპეციალისტების მისიის ანგარიში, რომელიც მომზადდა „საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს სიმძლავრის გამყარება რისკის შეფასების და რისკის მენეჯმენტის სფეროში“ პროექტის ფარგლებში.

- ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს მეცნიერ-ოფიცრის სტილიანოს კოლოურისის მიერ 2017 წელს TAEX-ის პროგრამის ფარგლებში მომზადებული დასკვნა.

დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციებს² და დასკვნებში³ სწორედ რისკის რაოდენობრივი შეფასებისთვის აუცილებელი სათანადო მონაცემების არქონა ან მათი შეზღუდული რაოდენობა სახელდება. ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს მეცნიერ-ოფიცრის სტილიანოს კოლოურისის დასკვნის თანახმად: „იმისათვის, რომ განხორციელდეს წარმატებული და მაღალი სიზუსტის (ანუ დაბალი განუსაზღვრელობის მქონე) რისკის შეფასება, თქვენ გესაჭიროებათ ბევრი ზუსტი მონაცემი დაკავშირებული თქვენს ქვეყანასთან. ეს ნიშნავს რომ საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს ექსტენციური მონაცემთა ბაზა: ერთის მხრივ სხვადასხვა სუბსტანციების გამოვლინებისა და კონცენტრაციებისა და მეორეს მხრივ საქართველოს მოსახლეობის სურსათის მოხმარების მონაცემებით. ჩემი მოსაზრებით უნდა ჩატარდეს ექსტენციური ეროვნული კვლევა სურსათის მოხმარების EFSA -ს მეთოდოლოგიის საფუძველზე, რათა შეგროვდეს საჭირო მონაცემები.“

ასეთი მონაცემების შეგროვება საკმაოდ ძვირადღირებულია და საჭიროებს ეროვნულ დონეზე ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელებას. დღეისათვის ნაციონალურ დონეზე ჩატარებული „ფაქტიური კვების“ კვლევები არ არიან რისკის შეფასების მიზნების რელევანტურები. ამდენად, რისკის მიზნებისთვის შესაბამისი კვლევების განხორციელება აღიარებულია რისკის შემფასებელი სტრუქტურების მხრიდან როგორც სამომავლო ქმედებების პრიორიტეტი, რათა შესაძლებლობა შეიქმნას ექსპოზიციის განსაზღვრისა, რომლის დროსაც შესაძლოა დადგინდეს:

- კონცენტრაციის გადანაწილება დროსა და სივრცეში, და გარემოს სხვადასხვა ობიექტებში;
- მაღალ და დაბალ რისკს დაქვემდებარებული პოპულაციები და სუბპოპულაციები;
- რისკის შემცირების პრიორიტეტული, ეფექტური და შედარებით ეკონომიური პროგრამები და ღონისძიებები;
- დაბინძურების სხვადასხვა წყაროების წილი გარემოს დაბინძურებაში;
- დამაბინძურებლების გარემოში მოხვედრის განმაპირობებელი ფაქტორები, მავნე ნივთიერებების გავრცელებისა და ადამიანის ორგანიზმში მისი მოხვედრის გზები;

² პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს ფარგლებში წარმოდგენილი „რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები“;

³ ქ.დადიანი, რ. კობახიძე - ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით მომზადებული 2012, 2013, 2014 და 2015 წლის ანგარიშები;

- ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო დონეებამდე დაბინძურების შემცირებისთვის გამოყენებულ ღონისძიებათა შესაბამისობა.

ამ კვლევების განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი სამუშაოები - შესაბამისი მეთოდოლოგიების დამუშავება, რეპრეზენტატული კვლევის მასშტაბებისა და დიზაინის განსაზღვრა და სხვა ტექნიკური ხასიათის სამუშაოების დაგეგმვა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვლევის ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასება.

„ფაქტიური კვება“.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა რისკის შეფასების საფეხურებია საფრთხის იდენტიფიკაცია და საფრთხის ზეგავლენის ანუ ექსპოზიციის შეფასება. მათი განხორციელებისთვის აუცილებელია მონიტორინგის მონაცემები. განსაკუთრებით ექსპოზიციის შეფასებისთვის, რომლის დროსაც საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების ფარგლებში, სხვადასხვა სცენარების შედგენითა და მოდელირებით ხდება ე.წ. „ფაქტიური კვების“ (ანუ სურსათის მოხმარების) და მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების (სურსათში საფრთხის (მ.შ პოტენციური) შემცველობის შესახებ) სტატისტიკური დამუშავება, რათა დადგინდეს ექსპოზიციის (ზეგავლენის) ზღვრები და თვისობრივად ან რაოდენობრივად შეფასდეს არსებული რისკები განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით, შედგეს შესაბამისი რეკომენდაციები და დაიგეგმოს რისკის მართვის ადექვატური ღონისძიებები.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს „ფაქტიური კვების“ მონაცემები. ამიტომ, სურსათის რისკის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც სავარაუდოდ შეიცავს ცდომილებებს. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება სავარაუდო (სააღბათო) ექსპოზიციის ანუ ზეგავლენის შეფასება.

მონიტორინგის პროგრამები.


სააგენტო 2007-2008 წლებიდან ახორციელებდა მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამებს. მაგრამ მონაცემები მათი შესრულების შესახებ დაარქივებულია და რთულად ხელმისაწვდომი.

2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნის შემდეგ აღნიშნული მონიტორინგის პროგრამები ტარდება ელექტრონული ტენდერების გამოყენებით, რაც იძლევა თავისუფალ წვდომის შესაძლებლობას მონიტორინგის ფარგლებში შესყიდული ლაბორატორიული მომსახურების მოთხოვნების, მიღებული მომსახურების დეტალებისა და სპეციფიკაციების შესახებ, ისეთების როგორცაა: გამოცხადებული და სახელშეკრულებო ფასი, გამოსაკვლევი სურსათის ჯგუფი და მაჩვენებლები, მონაწილე ლაბორატორიების, მ.შ. გამარჯვებული ლაბორატორიების აკრედიტაციის დეტალები - სფერო, მაჩვენებლები და გამოცდის მეთოდები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს 2011-2017 წლის ანგარიშების მონაცემებით - აღებული და ლაბორატორიებში გამოკვლეული იყო სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის):

2011 წელს სულ 515 ნიმუში/სინჯი :


- 81 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 56 - პესტიციდები
- 54 - ალკოჰოლური სასმელი, ღვინო
- 7 - უალკოჰოლო სასმელები
- 113 - ცხოველური წარმოშობის სურსათი
- 86 - სასმელი წყალი
- 84 - მზა კერძები და კულინარული ნაწარმი
- 14 - ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტი, მისი კონსერვები
- 9 - რძისა და რძის პროდუქტების ნატურალობის დადგენა
- 8 - ნარჩენები
- 3 - სურსათში საკვებდანამატების ნარჩენები კვლევა.



ნახ. 1. 2011 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2012 წელს სულ 428 ნიმუში/სინჯი :


- 72 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 34 - პესტიციდები
- 90 - ალკოჰოლური - ღვინო
- 14 - უალკოჰოლო სასმელები
- 91 - ცხოველური
- 76 - სასმელი წყალი
- 32 - მზა კერძები
- 11 - ბავშვთა კვება
- 8 - რძისა და რძის პროდუქტების ნატურალობის დადგენა.



ნახ. 2. 2012 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2013 წელს სულ 820 ნიმუში/სინჯი :


- 105 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 40 - ლისტერია მონოციტოგენეზი
- 103 - ალკოჰოლური - ღვინო
- 40 - ნარჩენები
- 233 - ცხოველური
- 186 - სასმელი წყალი
- 75 - მზა კერძები
- 20 - ბავშვთა კვება
- 18 - უალკოჰოლო სასმელები.



ნახ. 3. 2013 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2014 წელს სულ 4100 ნიმუში/სინჯი :

- 359 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 98 - სახეობრივი (ხორცის ფალსიფიკაცია)
- 124 - პესტიციდები
- 201 - ლისტერია მონოციტოგენეზი
- 30 - GMO
- 103 - თაფლი
- 125 - ალკოჰოლური - ღვინო
- 501 - სალმონელა
- 320 - ცხოველური ნარჩენები
- 778 - ცხოველური
- 796 - სასმელი წყალი
- 562 - მზა კერძები
- 103 - ბავშვთა კვება




ნახ. 4. 2014 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2015 წელს სულ 4218 ნიმუში/სინჯი :

- 484 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 96 - სახეობრივი (ხორცის ფალსიფიკაცია)
- 37 - Ca
- 150 - მცენარეული ცხიმები
- 180 - პესტიციდები
- 400 - ლისტერია მონოციტოგენეზი


- 100 - GMO
- 104 - თაფლი
- 442 - ალკოჰოლური - ღვინო
- 700 - სალმონელა
- 166 - ნარჩენები
- 658 - ცხოველური
- 701 - სასმელი წყალი.



ნახ. 5. 2015 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2016 წელს სულ 3257 ნიშუმი/სინჯი :


- 177 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 100 - სახეობრივი (ხორცის ფალსიფიკაცია)
- 250 - მცენარეული ცხიმები
- 65 - ბრუცელოზი - ნედლი რძე
- 71 - პესტიციდები
- 301 - ლისტერია მონოციტოგენეზი
- 200 - GMO
- 117 - თაფლი
- 639 - სალმონელა
- 257 - ნარჩენები
- 25 - ჰისტამინი
- 462 - სასმელი წყალი
- 40 - Ca
- 403 - ალკოჰოლური
- 150 - მზა სურსათი E.coli.



ნახ. 6. 2016 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა


2017 წელს სულ 3410 ნიმუში/სინჯი :

- 499 - არაცხოველური წარმოშობის სურსათი
- 90 - სახეობრივი (ხორცის ფალსიფიკაცია)
- 30 - Ca
- 105 - მცენარეული ცხიმები
- 68 - ბრუცელოზი - ნედლი რძე
- 35 - პესტიციდები
- 63 - ლისტერია მონოციტოგენეზი
- 13 - სტაფილოკოკური
- 136 - ტრანსცხიმები
- 120 - GMO
- 129 - თაფლი
- 121 - ალკოჰოლური - ღვინო
- 250 - სალმონელა
- 1033 - ნარჩენები
- 53 - სანიტარული მაჩვენებლები
- 117 - ჰისტამინი
- 548 - სასმელი წყალი.



ნახ. 7. 2017 წლის კვლევების განაწილების დიაგრამა

2011 წელს	გამოკვლეული იყო სულ 515 ნიმუში
2012 წელს	428 ნიმუში
2013 წელს	820 ნიმუში
2014 წელს	4100 ნიმუში
2015 წელს	4218 ნიმუში
2016 წელს	3257 ნიმუში
2017 წელს	3410 ნიმუში



ნახ.8. 2011 - 2017 წლების კვლევების (ნიმუშების) განაწილების დიაგრამა წლების მიხედვით

მონიტორინგი და ზედამხედველობა - ევროპული მიდგომა (გერმანიის მაგალითზე).

როგორც ზემოთ აღნიშნულია, საქართველოს კანონმდებლობით ზედამხედველობა სურსათის უზენებლობაში წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის მექანიზმს, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება: ა) სურსათის განადგურებაზე; ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთაზე, ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე; გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

სურსათის ზედამხედველობა ევროპული რეგულაციების მიხედვით ნიშნავს ერთ ან მეტ სურსათის ან ცხოველის საკვების ერთ ან მეტ წარმოებაზე, სურსათის ან ცხოველის საკვების ბიზნეს-ოპერატორებზე ან მათ საქმიანობებზე ფრთხილ დაკვირვებას ("surveillance" means a careful observation of one or more feed or food businesses, feed or food business operators or their activities); გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- გამოავლენს სურსათს ან სხვა საქონლს, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას;
- ბაზრის და იმპორტის კონტროლი;
- მიზანმიმართული შერჩევა ნიმუშებისა, რომელთაც აქვთ მაღალი პოტენციური იმისა, რომ მაღალი კონცენტრაციებით შეიცავდნენ მაგალითად კონტამინანტებს;
- **პრობლემა ექსპოზიციის შეფასების გამოყენებაში, რადგან ნიმუშები არარეპრეზენტატიულია (რისკი არაადექვატურად (არაპროპორციულად) გაზრდილია).**

მონიტორინგი.

ზოგადად მონიტორინგი არის ტერმინი, რომელიც აღწერს უწყვეტ (განგრძობით) ძალისხმევას მონაცემთა შეგროვებისთვის, რათა მოხდეს შემცველობებში ცვლილებების ან ტენდენციების გამოვლენა, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ საქართველოს კანონმდებლობით, მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა)წინა წლებში მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მომხამვების, სურსათით/ცხოველის საკვებით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;

ბ)სურსათის/ცხოველის საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;

გ)გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

დ)მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

ე)სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

მონიტორინგის ფარგლებში არსებული მდგომარეობა შეისწავლება ნიმუშის აღებისა და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარების გზით, რისკის შეფასების განხორციელებისათვის, რომლის დროსაც:

ა)მოწმდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მაჩვენებლების, ეტიკეტისა და წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ბ)ხორციელდება დოკუმენტური შემოწმება

ევროპული რეგულაციების მიხედვით, მონიტორინგი ნიშნავს წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებებისა და გაზომვების ჩატარებას, სურსათის ან ცხოველის საკვების კანონმდებლობასთან, ცხოველების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წესებთან შესაბამისობის მდგომარეობის გადახედვის შესაძლებლობით. ("monitoring" means conducting a planned sequence of observations or measurements with a view to obtaining an overview of the state of compliance with feed or food law, animal health and animal welfare rules) . გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- შესაძლოა მოგვეცეს სურსათში კონცენტრაციათა დონეების მონაცემთა რეპრეზენტატული სურათი (სეზონურობა, იმპორტი, ...)
- კონტროლი ძირითადად მარკეტის დონეზე ტარდება

- ნიმუშების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რათა შესაძლებელი გახდეს განხორციელდეს სწორი შეფასება.

ევროკავშირის, გერმანიის და საქართველოს სურსათის უვნებლობის სისტემები:

	რისკის შეფასება	კანონმდებლობა (პოლიტიკა)	რისკის მართვა
ევროკავშირი	EFSA (ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტო)	EU კომისია (DG SANTE - ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატი)	FVO (სურსათისა და ვეტერინარიის ოფისი)
გერმანია	BfR (რისკის შეფასების ფედერალური ინსტიტუტი)	BMEL (სურსათისა და სოფლის მეურნეობის ფედერალური სამინისტრო)	BVL (მომხმარებელთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის ფედერალური ოფისი)
საქართველო	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (რისკის შეფასების სამსახური)	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სურსათის ეროვნული სააგენტო

გერმანიის სურსათის მონიტორინგის პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას ხელმძღვანელობს, ასევე აგროვებს და ამუშავებს მიღებულ შედეგებს მომხმარებელთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის ფედერალური ოფისი - BVL.

მონიტორინგის ფარგლებში სურსათში გამოიკვლევა:

- ✓ მიკრობიოლოგიური კომპოზიცია;
- ✓ ნარჩენების კომპოზიცია;
- ✓ დამაბინძურებლები;
- ✓ სხვა არასასურველი კომპონენტები;

ასევე,

- ✓ ორგანოლექტიკური მახასიათებლები;
- ✓ შემადგენლობა;
- ✓ სწორი ეტიკეტირება.

BVL- ის კოორდინირებით ხორციელდება:

1. სისტემატური მონიტორინგი - რომელიც მოიცავს

- დაახლოებით 20-40 სახეობის სურსათის წელიწადში, წინასწარ განსაზღვრული სასურსათო კალათიდან;
- სასურსათო კალათს, რომელიც მიიღება
 - სურსათის მოხმარების ანუ „ფაქტიური კვების“ კვლევიდან,
 - საშუალო მოხმარების მინიმუმ 90%,
 - თითოეული სურსათის სახეობა უნდა გამოკვლეულ იქნას ყოველ 3-6 წელიწადში.
- ინდივიდუალური (თითოეული) ნიმუშის ანალიზს;
- უმი და გადამუშავებული („გასაყიდი სახის“) სურსათის ანალიზს.

ნიმუშების რაოდენობა უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რათა შესაძლებელი გახდეს განხორციელდეს სწორი შეფასება და მართვა. ამიტომ, გერმანიაში მონიტორინგის ფარგლებში საანალიზო ნიმუშების რაოდენობას იანგარიშება შემდეგი ფორმულით: წელიწადში 5 ნიმუში - ყოველ 1000 მოსახლეზე. შესაბამისად, სულ წელიწადში სურსათის მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება 400'000 ნიმუშის კვლევა, ჯამში 1 მილიონზე მეტ მაჩვენებელზე.

2. პროექტული მონიტორინგი: არანორმირებული აგენტების ლაბორატორიული გამოცდა

- ფოკუსირებულია სპეციფიურ საკითხებზე;
- მოიცავს დაახლოებით 200 ნიმუშს თითოეულ პროექტზე;
- იძლევა შესაძლებლობას, რომ გაანალიზდეს მრავალფეროვანი ნივთიერებები, მაგ. 2017 წელს
 - სუნელებში - მცენარეთა დაცვის პროდუქტების ნარჩენები;
 - ლუდში - პესტიციდების ნარჩენები.

მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ბაზარზე განთავსებული და/ან ბაზრისთვის გამზადებული სურსათის შესაბამისობის დადგენა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, და ამიტომ, მონიტორინგის ფარგლებში ხდება სურსათის კვლევა ნორმირებულ მაჩვენებლებზე.

თუმცა, მონიტორინგის ასევე უმნიშვნელოვანესი მიზანია მისი შედეგების რისკის შეფასებისთვის გამოყენების შესაძლებლობა. ვინაიდან, ხშირად რისკის შეფასება ხდება ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც არ არის ნორმირებული, მონიტორინგის ფარგლებში ხდება მსგავსი (არანორმირებული) მაჩვენებლების კვლევების განხორციელება რისკის შეფასების ინსტიტუტის მოთხოვნის საფუძველზე მათ მიერ განსაზღვრული გეგმისა და რაოდენობის მიხედვით.

ზედამხედველობის მონაცემები ევროკავშირის ქვეყნებში და მათ შორის გერმანიაშიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა გამოთვლებისათვის და ასევე რისკის შეფასების მიზნითაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ შეფასება მოხდება კონკრეტულად ზედამხედველობის სფეროსა და ობიექტზე. სხვა შემთხვევაში ზედამხედველობის შედეგების

გამოყენება რისკის (ექსპოზიციის) უფრო ფართო და ზოგადი შეფასებისთვის გამოიწვევს რისკის არაადეკვატურად (არაპროპორციულად) გაზრდილ შედეგს.

ზედამხედველობა პრითადად გამოიყენება ისეთ საფრთხეზე ხანგრძლივი დაკვირვებისთვის რომელზეც არსებობდა ან არსებობს მაღალი რისკი ან ავადობის მაჩვენებელი. ზედამხედველობა, საფრთხის შემცირების მიზნით ინტერვენციასთან (ჩარევასთან) კავშირში შეიძლება განხილულ იქნას როგორც ინტეგრირებული რისკის მართვის ინსტრუმენტი. ზედამხედველობის პროგრამები მრავალწლიანია, ხშირად გრძელდება ათეულობით წლები. ზედამხედველობა ხორციელდება კონკრეტულ საფრთხეზე, ხშირად კონკრეტულ ობიექტში, აღნიშული საფრთხის გამოვლინების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, ასევე, რომ არ მოხდეს მისი ხელახალი აღმოცენება. მაგალითად, მსხვილფეხა პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალიტის ზედამხედველობის პროგრამა რომელიც 1980-იანი წლებიდან დღევანდლამდე გრძელდება; ასევე ღორის ხორცში ტრიქინელოზის ზედამხედველობის პროგრამა გერმანიაში, გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე მიმდინარეობს. კიდევ ერთი მაგალითია კამპილობაქტერიების ზედამხედველობის პროგრამა შვეიცარიაში. აღნიშნული ზედამხედველობის პროგრამის შექმნა გამოიწვია იმან, რომ სურსათისმიერი ინფექციური დაავადებების (რეგისტრირებადი დაავადებების) ყველაზე ხშირი გამომწვევი აღმოჩნდა კამპილობაქტერიები და 2006 წლიდან აღნიშნული ინფექციების ინციდენტების რიცხვი უფრო და უფრო მატულობს. ამიტომ ევროკავშირის დონეზე 2008 წელს ჰარმონიზდა საბაზისო კვლევა, გამოქვეყნდა EFSA-ს 3 სამეცნიერო მოსაზრება, განხორციელდა ხარჯების სარგებლის ანალიზი და სხვა ინსტრუმენტი ევროკავშირის მიერ. რის საფუძველზეც შვეიცარიაში 2009 წლიდან შეიქმნა კამპილობაქტერიების პლატფორმა, შემდეგ დადგინდა დაცვის მიზნები და ამოცანები, ხოლო 2014 წლიდან დაიწყო რისკის მართვის ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოსა და ევროკავშირის (მ.შ. გერმანიის) სურსათის მონიტორინგის და ზედამხედველობის სისტემების შედარება.

2017 წლიდან საქართველოში ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის #22 დადგენილების მიხედვით „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც სრულად ჰარმონიზირებულია შესაბამის ევროკავშირის რეგულაციით დადგენილ მონიტორინგის წესთან. მონიტორინგის სხვა პროგრამები ევროპულისგან განსხვავებული პრინციპებითა და მიზნებით იგეგმება და ხორციელდება. მაგალითად სალმონელას მონიტორინგის და ლისტერია მონოციტოგენეზის მონიტორინგის პროგრამებში ხშირად ხდება ზედამხედველობის მიდგომების გამოყენება, ანუ საანალიზოდ შეირჩევა აღნიშნული მაჩვენებლებისთვის წინასწარ გათვლილი მაღალი რისკის მატრიცები (სურსათი), რაც შემთხვევით შერჩევის პრინციპს გამოიციხავს და შესაბამისად მიღებულ შედეგებს რისკის შეფასებისთვის მეტ-ნაკლებად სათუოს ხდის. ასევე, მონიტორინგის პროგრამების ფარგლებში ხდება სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული (დაფიქსირებული) საჩივრების საფუძველზე, მიზანმიმართულად, სავარაუდოდ კანონმდებლობასთან (ნორმებთან) შეუსაბამო სურსათის ნიმუშების კვლევა სავარაუდოდ

დარღვევებზე, რაც ასევე გამოუსადეგარს ხდის კონკრეტულად აღნიშნულ მონაცემებს რისკის შეფასებისთვის, და ეჭვქვეშ აყენებს მთლიანად მონიტორინგის შესაბამისი პროგრამის შედეგების სისწორეს რისკის შეფასების მიზნებისთვის, რადგან ვერ ხერხდება სრული მონაცემებიდან მსგავსი შემთხვევების დაფილტვრა (გამოცალკეება). ყოველივე ზემოაღნიშნული საკმაოდ ზრდის რისკის (ექსპოზიციის) შეფასების ცდომილებას და შესაბამისად განუსაზღვრელობას.

საქართველოში მონიტორინგის პროგრამების ფარგლებში ხდება მხოლოდ ნორმირებული (ან აკრძალული) მაჩვენებლების გამოკვლევა. მაშინ როდესაც რისკის შეფასებისთვის ასევე საჭირო და მნიშვნელოვანია არანორმირებული მაჩვენებლების კვლევა.

რაც შეეხება ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით მას სრულიად სხვა განმარტება და მიმართულება აქვს, ვიდრე ევროპული და საერთაშორისო კანონმდებლობით. ამიტომ ზედამხედველობის პროგრამები ევროპული და საერთაშორისო სახით პრაქტიკულად არ ხორციელდება საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროგრამები შესაძლოა საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი იყოს საქართველოს სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სისტემებში არსებული რიგი რისკების ეფექტიანი მართვისთვის. მაგ, სასურველი იქნებოდა შექმნილიყო ბრუცელოზის ზედამხედველობის პროგრამა.

ლაბორატორიული კვლევის მეთოდები.

რისკის შეფასებისათვის, და ასევე მართვისათვისაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები. ლაბორატორიული კვლევის მეთოდი არა მხოლოდ აკრედიტებული უნდა იყოს, არამედ უნდა შეესაბამებოდეს კვლევის მიზანსაც. მნიშვნელოვანია ლაბორატორიამ შეძლოს კომპეტენციის დადასტურება საკვლევი მაჩვენებლების ანალიზისთვის საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული ტესტირების (PT) შედეგებით ISO 17043-ის მიხედვით აკრედიტებული სქემების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის # 581 „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, 2016 წლის 07 ნოემბრის #497 „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ და 2016 წლის 13 დეკემბრის #547 „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ დადგენილებებით დადგინდა მოთხოვნები რიგი მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევის იმ მეთოდების მიმართ, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფო კონტროლის, მ.შ. მონიტორინგის მიზნით კვლევების განხორციელებისას.

მონიტორინგის ფარგლებში საჭიროა შედეგები წარმოდგენილი იყოს რაოდენობრივი სახით კვლევის მეთოდის (სტანდარტის) მოთხოვნების შესაბამისად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება დეტექციის მეთოდით.

ექსპოზიციის შეფასებისას ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის სრულ, ნედლ, რაოდენობრივ ან თვისობრივ შედეგებთან ერთად, რისკის შეფასების სტრუქტურას მიეწოდოს ლაბორატორიული კვლევის მეთოდების სტატისტიკური მახასიათებლებიც, LOD/LOQ (აღმოჩენის (დეტექციის) ზღვრები/რაოდენობრივი დათვლის (კვანტიფიკაციის) ზღვრები), ასევე გაზომვის განუსაზღვრელობა თითოეული მეთოდისთვის, მატრიცების და ასევე შემსრულებელი ლაბორატორიის მიხედვით. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც ექსპოზიციის სწორი შეფასებისთვის, ასევე მისი განუსაზღვრელობის შეფასებისთვის, რადგან, რისკის (ექსპოზიციის) შეფასების განუსაზღვრელობაში მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე ადვილად მიკვლევადი წილი სწორედ ლაბორატორიული კვლევის გამუსაზღვრელობაზე მოდის.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო კონტროლის (მ.შ. მონიტორინგის) განმახორციელებელმა ორგანოებმა ყოველი წლის დასაწყისში წარმოადგინონ წინა წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზი პრიორიტეტული საფრთხეების განსაზღვრით.

რეკომენდაციები:

1. რისკის შეფასების მიზნების უზრუნველსაყოფად მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ადაპტირებისთვის, სურსათით განპირობებული რისკების რანჟირებისათვის და რისკის ანალიზის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები:
 - ✓ საქართველოს კანონში „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (08.05.2012) - 26 მუხლის 2, 3, და 4 პუნქტებში;
 - ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №533 „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ - მუხლებში 8 და 9.
2. რისკის შეფასების მიზნებისთვის გამოყენებადი მონიტორინგის მონაცემების მისაღებად საჭიროა, მონიტორინგის პროგრამების შედგენისას გათვალისწინებული იყოს ევროპული მიდგომები, მ.შ. სისტემატური და პროექტული მონიტორინგები, რომლებშიც დადგინდება როგორც სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე გამოკვლეული იქნება არანორმირებული საფრთხეები. აღნიშნული რეკომენდაცია შესაბამის საკანონმდებლო აქტებში მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი ცვლილების სახით:
 - ✓ მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად, და/ან რისკის შეფასების მიზნით.

- ✓ პროგრამული (სისტემური) მონიტორინგი - რომლის ფარგლებშიც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. პროგრამული მონიტორინგის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რისკის შეფასების მიზნით.
 - ✓ მიზნობრივი (პროექტული) მონიტორინგი - ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში რისკის შეფასებისთვის და მოიცავს არანორმირებული აგენტების კვლევის მიზნით ნიმუშის აღებას და ლაბორატორიულ გამოცდას.
3. მიზანშეწონილია სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა ყოველი წლის დასაწყისში წარმოადგინონ წინა წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზი პრიორიტეტული საფრთხეების განსაზღვრით.
 4. მონიტორინგის ფარგლებში საჭიროა შედეგები წარმოდგენილი იყოს რაოდენობრივი სახით კვლევის მეთოდის (სტანდარტის) მოთხოვნების შესაბამისად, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება დეტექციის მეთოდით.
 5. რისკის/ექსპოზიციის და მისი განუსაზღვრელობის სწორი შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია რისკის შეფასების სტრუქტურას მონიტორინგის შედეგები მიეწოდოს სრული და ნედლი სახით, და ამასთანავე, მიეთითოს ლაბორატორიული კვლევის მეთოდების სტატისტიკური მახასიათებლებიც, LOD/LOQ (აღმოჩენის (დეტექციის) ზღვრები/ რაოდენობრივი დათვლის (კვანტიფიკაციის) ზღვრები), ასევე გაზომვის განუსაზღვრელობა თითოეული მეთოდისთვის, მატრიცების და ასევე შემსრულებელი ლაბორატორიის მიხედვით.
 6. სახელმწიფო კონტროლის (მ.შ. მონიტორინგის) ფარგლებში კვლევების განმახორციელებელი ლაბორატორიის შერჩევისას მნიშვნელოვანია კომპეტენციის დადასტურება საერთაშორისოდ აღიარებული პროფესიული ტესტირების (PT) შედეგებით ISO 17043-ის მიხედვით აკრედიტებული სქემების გამოყენებით.
 7. რისკის შეფასებისთვის საჭიროა ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების - „ფაქტიური კვების“ - კვლევა საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით. სასურველია, თუ აღნიშნული კვლევა ჩატარდება მოსახლეობის ბიომეტრული მონაცემებისა და ჯანმრთელობის სტატუსის კვლევასთან ტანდემში.
 8. მონიტორინგის წლიური გეგმის შედგენისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს სასურსათო კალათა, რომელიც მიიღება სურსათის მოხმარების ანუ „ფაქტიური კვების“ მონაცემიდან.
 9. ზედამხედველობა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს, როგორც რისკის მართვის ინტეგრირებული სისტემის ნაწილი, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით.

დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალწლიანი ზედამხედველობის პროგრამები რისკის მინიმიზირებისათვის.

ქიმიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
დარეჯან დულაშვილი



ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ (27.12.2005);
2. REGULATION (EC) No 178/2002 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety;
3. REGULATION (EC) No 882/2004 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 29 April 2004 on official controls performed to ensure the verification of compliance with feed and food law, animal health and animal welfare rules;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილება №173 „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (08.05.2012);
6. IPCS (2009a). Principles and methods for the risk assessment of chemicals in food. (Environmental health criteria; 240). Technical report, World Health Organization, International programme on Chemical Safety, Geneva;
7. Codex Alimentarius Commission (CAC) (1999). Principles and guidelines for the conduct of microbiological risk assessment, cac/gl-30;
8. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №605 „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
9. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
10. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;

11. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
12. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
13. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
14. სურსათის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის, ბაზრის მონიტორინგისა და სურსათის უვნებლობის სფეროში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
15. 2016 წელს ბულგარელი სპეციალისტების მისიის ანგარიში, რომელიც მომზადდა „საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს სიმძლავრის გამყარება რისკის შეფასების და რისკის მენეჯმენტის სფეროში“ პროექტის ფარგლებში;
16. ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს მეცნიერ-ოფიცრის სტილიანოს კოლოურისის მიერ 2017 წელს TAEX-ის პროგრამის ფარგლებში მომზადებული დასკვნა;
17. პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს ფარგლებში წარმოდგენილი „რისკის ანალიზზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სისტემის დანერგვა: გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოსწორების რეკომენდაციები“;
18. ქ.დადიანი, რ.კობახიძე - ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით მომზადებული 2012 წლის ანგარიში;
19. ქ.დადიანი, რ.კობახიძე - ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით მომზადებული 2013 წლის ანგარიში;
20. ქ.დადიანი, რ.კობახიძე - ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით მომზადებული 2014 წლის ანგარიში;
21. ქ.დადიანი, რ.კობახიძე - ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით მომზადებული 2015 წლის ანგარიში.